პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 თებერვალი ოთხშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 44 (15561)

ხუთწლედი — ვადამდე!

ვინც თავი ისაჯელა

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა შეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი დიდი აღმავლობით დაიწყო. იანვრის თვის გეგმა ყველა მაჩვენებლების მიხედვით შესრულებულია, რეალიზებულია 195 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სურათზე: ზეინკალ-ამწყობთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): ირაკლი ბერიძე, თამაზ ტოსიაშვილი, ბრიგადირი რამაზ მაღლაკელიძე და აკაკი ჯიბლაძე.

გ. გერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

20 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენება — „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

„ლუნოხოდ-2“ ტავრის მასივის მთისწინა რაიონშია

ზორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი. 19 თებერვალი (საკდესი). 18 და 19 თებერვალს გაიმართა „ლუნოხოდ-2“-თან რადიო და სატელევიზიო კავშირის ორი სეანსი. 17 თებერვლის ღამით ავტომატური აპარატი მიუახლოვდა ორ კილომეტრამდე დიამეტრის კრატერს, რომელიც ტავრის მასივის მთისწინა რაიონში მდებარეობს. კავშირის სეანსის დროს, რომელიც დღეს მოსკოვის დროით 2-დან 6 საათამდე გრძელდებოდა, მთვარემავალმა სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან მოუარა კრატერს მისი ბექობის გარეთ ფერდობით. ამასთან შეასრულა გრუნტის დეტალური ქიმიური ანალიზი, გაზომა ქანების დამაგნიტება, აგრეთვე პანორამულად აგება კრატერის ფერდობები და ლემონიუს ჟურეს სანაპირო რაიონები.

მოწყობილი სეანსების დროს მოძრაობის პირობები უაღრესად მძიმე იყო: ცალკეული მონაკვეთების ფერდობების დახრილობა 25 გრადუსს შეადგენდა, ხოლო მთვარემავლის თვლების ბუქსაობა — 80 პროცენტს. კავშირგაბმულობის ორი სეანსის განმავლობაში თვითმავალმა აპარატმა 2.268 მეტრი გაიარა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „ლუნოხოდ-2“ ავტომატური აპარატის საბორტო სისტემები და აგრეგატები ძნელი გადასვლის პირობებში ნორმალურად მუშაობდნენ.

მომდევნო დღეებისათვის გათვალისწინებულია მოეწყოს მეცნიერული კვლევა კრატერის ბექობის ფერდობებზე და მომზადდეს თვითმავალი აპარატი მთვარის დამისათვის.

მსუბუქი მრეწველობის ახალმშენებლობანი

ვადაზე ორი თვით ადრე ჩაიდგა მწყობრში ახალი წარმოება „მასისის“ ფირმის ერთ-ერთ საწარმოში. მისი საპროექტო სიმძლავრეა 300 ათასი წყვილი სამოდელო ფეხსაცმელი წელიწადში. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე წინათ უშვებდა მთელი საწარმო. აქ დადგმულია უახლესი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა მოახდინონ ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ხუთწლედის მანძილზე სომხეთის მსუბუქი მრეწველობა ერთანახევარჯერ გაზრდის სამომხმარებლო საქონლის გამოშვებას. მომდინარე წელს მწყობრში ჩადგება ამერეკავკასიაში უდიდესი ტყავსაგალანტერიო ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად 10 მილიონ ნაკეთობას გამოუშვებს. მწყობრში ჩადგება ტრიკოტაჟის ფაბრიკა ქალაქ სპიტაკში. ერევნის კამეოლის კომბინატში აშენდება ახალი საწარმოო კორპუსები. (საკდესის კორ.).

უმაღლესი მარკის ცელულოზა

ბაიკალის ქარხნის კოლექტივმა დაიწყო „სუპერ-სუპერის“ მარკის კორდული ცელულოზის წარმოება. თავისი ხარისხით იგი საუკეთესო ნიმუშების დონეზეა.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს ვიმუშაოთ ურეკლამაციოდ, პროდუქციის მთელი მატება მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ამ დევიზით გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში. ეს საწარმო აღჭურვილია უახლესი საქსოვი და საკერავი მანქანებით. აქ გეგმის შეუსრულებლობა და წუნდებული პროდუქციის გამოშვება სამარცხვინო საქმედ ითვლება. ჯერ კიდევ მარშან ფაბრიკის კოლექტივმა კარგად აითვისა ახალი ტექნიკა. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება გადაჭარბებით შესრულება. წინა წელთან შედარებით მინიმუმამდე შეამცირა წუნი. ქალის კაბის ორმა და კოსტიუმის ორმა მოდელმა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო. წელს გადაწყვეტილია ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია 13.500 ერთეული გამოუშვან.

ხუთწლედის მეხამე გადამწყვეტ წელს შეჯიბრებას უფრო მეცნიერული, ქმედითი ხასიათი მისცეს. ფაბრიკაში დადგმულია კოტონის 25 საქსოვი დაზგა. თვითეულზე ცვლაში 100 ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი იქსოვება, აქვე დამონტაჟებულია მრგვლად საქსოვი 27 მანქანა. თვითეულზე 8 საათში 25 კილოგრამი ტრიკოტაჟის ქსოვილი მზადდება. წარმოიდგინეთ, დღეში ორი მუშაც რომ არ გამოვიდეს სამუშაოდ, რა დიდი ზარალი მოსდის საწარმოს. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინეს და სოციალისტური შეჯიბრების მუხლებში მთავარი ყურადღება მიაქციეს მომსახურების ზონის გაფართოებას. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს მუშათა დასუსტებას, ბევრმა მქსოველმა ზემოწოდებით შეისწავლა მანქანა, მთელი რიგი პატარა შეფერხებების გასწორებას მქსოველები ქვეოსტატის დაუხმარებლად ახერხებენ, ამაში დიდ დროს იგებენ, და ნორმით გათვალისწინებული ორი მანქანის ნაცვლად სამს ემსახურებიან. ასეთი ნოვატორი მქსოველები არიან ნ. მამისაშვილი, ლ. ნუცუბიძე, ე. ლეონტიევა, ა. არჩუკანიანი, ლ. პავლოვა.

კარგი ქსოვილისაგან მოხდენილი თანამედროვე მოდელის ტანსაცმლის შეკერვაა საჭირო. მაღალი ხარისხის ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვებისათვის საწარმოში ბევრი საყურადღებო ღონისძიება განახორციელეს. მკერავს, რომელიც გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობიდან 0,5 პროცენტზე მეტი არ დაუბრუნდება შესასწორებლად, ხელფასის ფონდიდან ეძლევა პრემია, ხოლო თუ შესასწორებლად დაბრუნებულმა რაოდენობამ დაწესებულ ზემოთ ნახსენებ ნორმას გადაჭარბა, მკერავი კარგავს პრემიის მიღების უფლებას. ის მკერავი, რომელიც მთლიანად უწუნოდ მუშაობს, იღებს პრემიას ხელფასის ფონდიდან და დამატებით ფულად ჯილდოს წახალისების სახსრებიდან. ყოველივე ამან ხამაღლა თვითეული მუშის დაინტერესება გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია. ახლა სამკერავლო საამქროში ბევრი მკერავი პყავთ, რომლებიც უწუნოდ მუშაობენ და მაღალ გამომუშავებასთან ერთად მოიპოვეს ყოველგვარი პრემიის მიღების უფლება. ესენი არიან მკერავები ო. დოლაქიძე, ლ. ბუნინა, თ. ბოშიშვილი, მ. მამუჩაშვილი.

ამ და სხვა ღონისძიებების გატარებამ ფაბრიკის კოლექტივს საშუალება მისცა ხუთწლედის მესამე წელი რიტმულად, გამართულად დაეწყო. იანვარში საწარმოს უნდა გამოეშვა 185 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფაქტიურად გამოუშვა 185.100 ცალი. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 6 ათასი მანეთით გადაჭარბა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,7 პროცენტით აამაღლა, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით 4,3 პროცენტით გაზარდა.

ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფისათვის ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს, მუშაკთა დაინტერესებისათვის კარგად ახამებენ მორალური და მატერიალური წახალისების ფორმებს.

ზ. ჯამასპიშვილი.

მჭედლთა მაგალითი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). იანვრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები რომ შეაჯამეს, თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროგაზომვებეკეთებელი ქარხნის ერთ-ერთ ძირითად საამქროს — საბჭედლო საამქროს კოლექტივში პირველობა მჭედლებმა მოიპოვეს. საუკეთესოთა შორის იყვნენ სოციალისტური შრომის გმირი, ვეტერანი მჭედელი კ. ილურიძე, ხ. მუმლაძე და რ. ოგანეზოვი. ეს სამი მჭედელი სამაგალითოდ შრომობს თებერვალშიც. შეჯიბრებას ისინი ნამდვილ ენთუზიაზმს მატებენ და ღღითიდღე ზრდიან ზეგეგმითი ნაჭედის რაოდენობას. თებერვლის ოც დღეში საამქროს ანგარიშზეა 65 ტონა ნაჭედი, გეგმა კი 60 ტონის გამოშვებას ითვალისწინებდა.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ

მესუბუქე მრეწველობის ინსტიტუტი

ოთი ... ოკეანურ

... ...

... ...

... ...

გულის კარნახით

კარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის

ლაპუნგორაზე კოკისპირულად წვიმდა. სველ სანგარში გალუმპული ისხდნენ 414-ე ანაპის წითელდროშოვანი ქართული დივიზიის 1367-ე მსროლელი ლეგიონის ათეულის მეთაური ანტონ ხიტალიშვილი და მისი ჯარისკაცები. უცბათ სავლე ტელეფონი აწკრიალდა. ლეგიონის შტაბიდან პარტიულ კრებაზე იხმობდნენ ათეულის მეთაურს.

კომუნისტმა ხიტალიშვილმა სწრაფად მოიყვანა წესრიგში თავისი თავი, ათეული სხვას გადააბარა და გზას გაუდგა. შტაბამდე ორიოდე კილომეტრი იყო. ღრუბლიანში არ ჩანდა ძველი დიდების ქალაქი — სევასტოპოლი, რომელშიც გერმანელებმა გამაგრებულიყვნენ. მართალია, მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ იარაღს მაინც არ ყრიდნენ.

მიაბიჯებდა ანტონი ლაფიან გზაზე, რომლის ორივე მხარეს ომის საშინელი კვალი ჩანდა და ფიქრით მანც მაღალკლღოვან მთაზე შეფენილ მშობლიურ არანსში იყო.

ანტონს ერთბაშად რაღაც გაახსენდა და ხელი მაზარის შიგნით, გიმნასტერის ჯიბისაკენ შეაცურა. — ეს არის! გაუთავებელ თავსმაში ყველაზე მეტად მას უფრთხილდებოდა. სადღაც გამქვარვალე წყალგუმტარი ქაღალდი იპოვა და, რომ არ დასველებულიყო, მასში ფრთხილად გაახვია. პარტბილეთი მუდამ მარცხენა ჯიბეში, გულთან ახლოს ჰქონდა შენახული. იგი თითქოს მისი სხეულის რაღაც ნაწილად ქცეულიყო. და ეძინა თუ ეღვიძა, შუდმივად გრძნობდა ამ პატარა წიგნაკის სითბოს.

არანისელი ვაჟკაცი რამდენჯერმე მტრის ზურგში, დაზვერვაზე გაგზავნეს. ასეთ დროს მეომარს უფლება აქვს პარტბილეთი ადგილზე დატოვოს, მაგრამ ანტონი ამას ვერ აკეთებდა, არასოდეს არ უფიქრია მისგან განშორება, იგი მიაჩნდა იმ თილისმად და ავგაროზად, რომელიც ეხმარებოდა ადვილად გადალახა ყველა დაბრკოლება, დაემარცხებინა სიკვდილიც კი.

პარტიულ კრებაზე პირველი სიტყვა ლეგიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტდარში ამბრეკი ლორიამ წარმოთქვა. მგზნებარე კაცი იყო, ცეცხლოვანი სიტყვის პატრონი.

— ამხანაგებო! — თქვა მან, — ბალე შეტევა დაიწყება, რომლის შესახებ დამატებით გაგიბოვებთ, ეკრანელი ფაშისტების აღსასრული ახლოვდება, ისინი ზღვაში უნდა ჩავახრჩოთ, მართალია, ზვიმბმა შეგვიშალეს ხელი, მაგრამ ახე როდემდე გაგრძელდება.

ახლა დროა გულდასმით მოვემზადოთ შეტევისათვის, გავითვალისწინოთ ყველაფერი, წესრიგში მოვიყვანთო იარაღი, აღჭურვილობა... ყველაფერში სამაგალითნი კომუნისტები უნდა ვიყოთ, განსაკუთრებით ბრძოლებში, არ დაგავიწყდეთ, მებრძოლებს გაახსენეთ სულმნათთა შოთას სიტყვები: სჯობს სიცოცხლეა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი... ამასთან ისიც მხედველობაში ვქონდეთ, რომ ვაჟკაცობა ის არის, მტერიც გაანადგურო და თვითონაც ცოცხალი დარჩე...

მერე სიტყვა უფროს სერჟანტს ანტონ ხიტალიშვილს არგუნეს. ისიც ადგა, ჩაახველა და დაიჭუსა: — ფაშისტების არა ერთი და ორი მხეცობა გვინახავს, ძმებო და ამხანაგებო, ამიტომაც ჩვენი ვალია მათ ისე გავუსწორდეთ, როგორც ნამდვილ მხეცებს, ამას მოითხოვს იმ მეგობართა ხსოვნა, რომლებიც ყირიმისათვის ბრძოლებში გმირულად დაიღუნენ. სიტყვიერი და თავსლაფი იმას, ვინც მტერს შეუშინდეს!

კრების მონაწილეებმა ფიცი დადეს არ შეერცხვინათ კომუნისტის მაღალი წოდება, ვაჟკაცურად ებრძოლათ უკანსკნელ სისხლის წვეთამდე.

გახარებული ბრუნდებოდნენ თავიანთ დანაყოფებში. ვისაც გამოუცდია თავდაცვითს ბრძოლებში დიდხანს ყოფნა, მან იცის მტერზე შეტევის სიტკბოება. ახლა კომუნისტებს თავიანთი პირადი მაგალითით და მართალი სიტყვით უნდა აღეწოთო მებრძოლები გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, უნდა კოცონად ექციათ ის ნაღვერდალი, რომელიც თვითეული მებრძოლის გულში თვლემდა. კომუნისტები წინ უნდა გაძღოლოდნენ შეტევაზე გადასული ათეულებს, ოცეულებს, ასეულებს, ათასეულებს, უნდა ყოფილიყვნენ მაგალითის მიმცემნი ყველგან და ყველაფერში: ანტონ ხიტალიშვილს ახსოვდა ლეგენდარული ჩაპაევის სიტყვები: — მხოლოდ წინ და წინ! თუ მოგკლავენ, მაშინაც თავით წინ დაეცი!

ბევრი ქართველი მებრძოლის სისხლით არის მორწყული ყირიმის მიწა, ბევრმა ვაჟკაცურად თავი დაფო მისი განთავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრ.ძოლაში, ყირიმშივე იბრძოდა ხიტალიშვილიც, რომელსაც ორჯერ შეეღება პარტბილეთი საკუთარი სისხლით.

მაგრამ მივყვეთ ამბავს.

ანტონი იგონებს: — სევასტოპოლის მისადგომებთან მიწა იწვოდა, მრისხანე იარაღს მთა და ველი გაეგრუჯა, ვინ ვის ვურჭყამდით, ძველი გასაჩრეკი იყო, ჩვენ მაშინ ძალზე ძლიერი ვიყავით, მტერს კი დალეწილი ჰქონდა „ძვალ-ძარღვნი“ და მისი აღსასრული ახლოვდებოდა.

პარტიული კრების შემდეგ, ლეგიონის შტაბში ერთხელ კიდევ გამომძახეს. ასეთმა მოულოდნელმა გამოძახებამ ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა. ოჯახიდან რაიმე ცუდი ამბავი ხომ არაფერია-მეთქი. ამ ფიქრებით მივედი შტაბში. ლეგიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ენუი ქანთარიამ გაზეთი გამომიწოდა, რომელშიც რომელიღაც ოფიცერი პორტრეტი იყო დაბეჭდილი და მითხრა: — ამ ვაჟკაცს ეს რამ მოსწია მაშინ ისეთი ძალა, ალბათ იმ პატარა წიგნაკმა, გიმნასტერას მარცხენა ჯიბეში, გულთან ახლოს რომ მქონდა შენახული და ჩემი ბედი ასეთია.

ახლაც თვალწინ მიდგას სისხლში მოსვრილი, როგორ გაკრობდი სულ წინ და წინ, ზარბაზნებისა და ტანკების ჯოჯოხეთურ ხმაურში, როგორ ვეკვიროდი „ვაშას“, ვეკვიროდი ქართულად, ჩემს მშობლიურ ენაზე, ამას უერთდებოდა რუსული „ურა“. მიხაროდა, რომ ჩვენი მხედრული ცხოვრება სამარცხვინოდ როდი მთავრდებოდა, მტრის ჯავრი ისე ვჭამეთ, როგორც ეს არაგველებს სჩვევიათ. იცოცხლეთ, რომ ფაშისტებს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოვუწყვეთ სევასტოპოლში, მამ რა ეგონათ, შერჩებოდათ ჩვენი ბიჭების სისხლი? ტყულად თუ ვინმე იტყვის, სიკვდილისა არ შეშინიაო, მტკნარი სიცრუეა. შეშინოდა მეც, მაგრამ ბიჭობა ის არის, როგორ დამალავ შიშს და მასზე მაღლა დადგები. ალბათ მეც მოგახსენებ და შიში ჩემგან გავაძევე, ჩემი სხეულიდან სადღაც გადავკრდე... მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს და სანამ წავიქცეოდი, მოვახერხე დროშა ამხანაგისათვის გადამეცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გონს რომ მოვედი, ხვეში ვეგდე სისხლისაგან დაცლილი, გარშემო უჩვეულო სიხუმე იდგა, იქვე კვნესოდა ჩემი მებრძოლი ამხანაგი და პირველი დახმარება ერთმანეთს თვითონვე აღმოვუჩინეთ ჩვენივე პერანგების ნახევრებით. ცოტა რომ მოვსულიერდი, ჯიბეში ისევ პარტიულ ბილეთს დავეწყე ძებნა, რომელიც სისხლისაგან მთლად გაწითლებულიყო.

ღამის სიბნელეში ნიავს ქალაქიდან ჩვენი გამარჯვების მაუწყებელი სალუტის ხმა მოაქონდა, მერე ბიჭებმა ამბავი მოიტანეს ლეგიონის დროშა, შენ რომ ამხანაგს გადულოცე, უკვე სევასტოპოლის ცენტრში ფრიალებსო...

ანტონ ხიტალიშვილი ამ ბრძოლაში გამორჩენილი მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოდეს.

მერე საველე ჰოსპიტალი, ევაკუაცია ზურგში. საავადმყოფოს თეთრი პალატა, თვითმფრინავის ბომბდამშლელი. ფიქრი წარსულზე, რომელიც მას უმიზნოდ და უქმად არ უტარებია, უბრალო არანსელი გლეხის შვილმა ანტონ ხიტალიშვილმა თავი გამოიჩინა ორგანიზატორული ნიჭით, პარტიის საქმისადმი ერთგულებით.

ის გახლავთ კოლექტივიზაციის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, ზღვების მანძილზე იყო კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მომხმარებელთა საზოგადოების მეთაური, სოფელში არ გაკეთებულა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმე, მას რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. ომის დაწყებიდან რამდენიმე თვე ზურგში ტრიალებდა, ყველაფერს აკეთებდა მტრისე ჩვენი გამარჯვებისათვის, მაგრამ გული მაინც იქითკენ მიუწევდა, სადაც სამშობლოს ერთგული შვილები ებრძოდნენ.

ბევრ ქვეყანაზე ბევრი რამ შეიცვალა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ თითქოს და არ შეცვლილა ანტონ ხიტალიშვილი, სამოცდათხუთმეტი წლის ნატყვიარი და ბრძოლებში გარუჯული ჯაგეკაცი ასლაც მხნედ გამოიყურება. ჩვენ მას, ომიდადგილს, ასეთსავე ვესტუმრეთ, მოვიგონეთ წარსული, კეთილი სიტყვით მოვიგონეთ ფრონტის მეგობრები, ასალ წელს მშვიდობა გუსურვეთ მსოფლიოს ხალხებს და ომათა სადღეგრძელო შეასვეთ, ვინც მშვიდობის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

ნამარი კაცი ახლაც არ ისვენებს, აქტიურად მონაწილეობს პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, არის ბევრი კეთილი საქმის წამომწყები და ორგანიზატორი, პატიოსანი და მომხიბლავი ადამიანი.

კარგა ხანს ვიდექით სახლის წინ, ქვეშოთ არაგვის ორსავე ნაპირას ციცავლის ბიდროკომპლექსის მშენებლობის დიდებული პანორამა გადაშლილიყო, შორს მზის სხივებზე ელვარებდნენ კავკასიონის მწვერვალები, სოფელში გამელელ-გამოშველენი გულით მიესალმებოდნენ სამამულო ომის ვეტერანს ანტონ ხიტალიშვილს.

განშორების დროც დადგა. მასპინძელს გადაეფარა და ხალათის მარცხენა მხარეს რაღაც საგნის შეხება ვიგრძენი, ეს ალბათ ანტონის პარტბილეთი იყო, რომელსაც ესოდენ დიდი ღირსებით ატარებს იგი თავისი სიცოცხლის ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე.

კიდევ მრავალ წელს ეტარებინოს კომუნისტისათვის საყვარელი წიგნაკი, რომელსაც ლამაზი ასოებით აწერია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.
სოფელი არანისი,
დუშეთის რაიონი.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ფიცი გვწამს, გოლო გვაკვირვებს...

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ბიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. აბესაძე

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც მსილებული იყო ბიათურაში საავტომობილო გზების გაგიანურებისა და სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტები.

წერილთან დაკავშირებით პარტიის ბიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. აბესაძემ რედაქციას აცნობა, რომ ტრესტ „ცენტრმეტალურგრემონტის“ რუსთავის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბიათურის უბნის ყოფილი უფროსის გ. ა. ბლინდერის და სხვა დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დამთავრებულია და გადაცემულია სასამართლო ორგანოებში განსახილველად, რაც შეეხება ტრესტ „ბიათურმარგანეცის“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ტექნიკურ

თავმჯდომარედ არ აირჩიეს...

წერილი არ დაიბეჭდა მაგრამ...

რედაქციამ მიიღო ჩვენი გაზეთის მკითხველის წერილი, რომელშიც მხილებული იყო სარჩერის რაიონის ჯალაურთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ჭილაძემ რედაქციას აცნობა:

ხ. კაპანაძეს ჯერ კიდევ სოფელ კორბოულის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში საკოლმეურნეო წესდების დარღვევისა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის ბიუროს მიერ დადებული ჰქონდა მკაცრი პარტიული სახელები.

ამასწინანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ჯალაურთელებმა ხ. კაპანაძე ალარ აირჩიეს თავმჯდომარედ.

ქუთაისის

სიახლე წარმოების ყველა რგოლში

შეჯიბრება და ტექნიკური პროგრესი

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის მუშაობაში უკანასკნელი ორნახევარი წლის მანძილზე დიდი გარდატეხა მოხდა. ქარხანა ჩამორჩენილთა რიგებიდან მოწინავე საწარმოთა მწყობრში ჩადგა და გამართული რიტმული მუშაობით ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევს. 1971 წლის პირველი კვარტალიდან დაწყებული ჩვენმა ქარხანამ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის ექვსეკერი მოიპოვა მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია, ხოლო შარშან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის მაჩვენებლებით პირველი ადგილი დაიკავა.

ქუთაისელ ავტომშენებელთა ამ დიდ წარმატებებში სხვა ძირითად საამქროებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქარხნის მოსამზადებელ საამქროს. № 2 სამსხმელო, ანუ რუხი თუჯის სამსხმელო საამქრო 1953 წლის აპრილში გადაეცა საექსპლოატაციოდ. მისი წლიური წარმადობა 20.000 ტონა ეარგისი სხმულია. საამქრო მოიცავს საკოპე, სადნობ, საყალიბე, საკაზმე და სხვა განყოფილებებს. იგი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. აქ შეუფერხებლად მოქმედებენ ელევატორები, ცილინდრული ამწეები, საჰაერო კონვეიერები, ვერტიკალური საწრეხი ღუმელები, სადნობი ღუმელები.

სკკპ XXIV ყრილობამ ავტომშენებლობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანები დაგვისახა. ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა გეგმაზომიერად დაენერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დროულად განვახორციელოთ მოწყობილობათა მოდერნიზაცია, სპეციალიზაცია, გავაუჯობესოთ კოოპერირება, ყოველი ღონისძიებით მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საამქროში ახლა სერიოზული ტექნიკური ღონისძიებები ხორციელდება. უკანასკნელ ხანს დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი ნახევრადავტომატური ქვიშამზერი საკოპე - მანქანა, წლების მანძილზე ვმუშაობდით სხმული დეტალების მფრქვეველანი (პულვერიზატორით), ეს შეღებვის მეტად ძველი მეთოდი იყო და აი მდგომარეობა გამოსწორდა, საკუთარი ძალებით მოვაწყეთ სხმულების ამომღები-მაღლები კიდული კონვეიერი, ამასთან საყალიბე მანქანების ბუნკერებზე დანერგეთ საყალიბე მიწის ნახევრადავტომატური განაწილება, დავამონტაჟეთ აგრეთვე შემწოვი ვენტილაციის კალორიფერული სისტემა. მექანიკური საამქროები ზმირად გვეუბნებოდნენ საყვედურს სხმულების არასათანადო გაწმენდის გამო. ქარხნის დირექციის და ტექნიკური სამსახურების დაბმარებით საამქროში დავამონტაჟეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით სხმულების გამწმენდი საფანტმყოფილი კამერა, რომლის ამუშავებამ. მეტად გაუუმჯობესა სხმული დეტალების წმენდის ხარისხი. მარტო ამ ღონისძიებების დანერგვით საამქრომ 25.000 მანეთი პირობითი წლიური ეკონომია მიიღო, ახალი ტექნიკის დროულად დანერგვისა და ათვისების საქმეში ენერგიულად იმუშავეს ზეინკალმა გ. სახვაძემ, ტექნიკური ბიუროს უფროსმა გ. ჭელიძემ, საამქროს უფროსმა ბ. ქავთარაძემ, მექანიკოსმა გ. დარჯანიამ, ენერგეტიკოსმა პ. ქავზინაძემ.

იზრდება, მხრეს ზლის ჩვენი ქარხანა. იზრდება რუხი თუჯის სამსხმელო საამქროც, რომელსაც შესანიშნავი მშრომელი კოლექტივი ჰყავს. ავტომობილმშენებლები ჩაებნენ ახალ წელს გაწილილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავაც იკისრეს გაზრდილი ვალდებულებები. შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვა იქნება. გადაწყვეტილი გვაქვს უახლოეს ხანში დავამონტაჟოთ და საამქროში საექსპლოატაციოდ გადაცემა საკარკასე მავთულების დამპრეკელ-გამასწორებელი ავტომატი, სხმულების ფხაურების შემომმრეკელი ავტომატური ხაზი და კოპების დამამზადებელი თვითმშრობი ნახევრადავტომატი. ყველა ამ სიახლეთა დანერგვით წინასწარ გაანგარიშებით საამქრო დამატებით 10.000 მანეთ წლიურ ეკონომიის მიიღებს.

უ. მიქაძე,
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რუხი თუჯის სამსხმელო საამქროს უფროსი.

ვინც თავი ისახელა

ცხაკაიას საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის მშრომელებმა გასულ წელს სახელმწიფოს 800 ათასი ცალი კვერცხი მიაწოდეს. ეს გეგმიურს თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება: მეფრინველეებმა ხუთწლედის მესამე წელს გადალახეს სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის კომკავშირელ გულნარა დარსალიას ასახელებენ. ახალგაზრდა მეფრინველე 3.200 კვერცხისმდებელ ქათამს უვლის, ის პირობას დებს მომდინარე წელს ყოველ მათგანზე ნაცვლად 145 ცალისა 155 ცალი კვერცხი მიიღოს.

ი. ნანიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთმანეთისა ჯიბრითა...

ანუ ამბავი თერთმეტი გაბრაზებული კოლმეურნისა და ერთი თავმჯდომარისა

რაც ჯგუფი მოვიდა და თან საკმაოდ მოზრდილი განცხადება მოიტანა. განცხადება ქვეთავებად არის დაყოფილი: „მეგენახეობა“, „მემანდვრეობა“, „მეცხოველეობა“, „შრომის ორგანიზაცია“, „მიწათსარგებლობა“, „მშენებლობა“ და ბოლოს „დასკვნა“.

მარტო ქვეთავების (თვითეული ქვეთავი 4-6 პუნქტისაგან შედგება) გადათვალიერებდანაც ცხადდა, რომ განცხადება მოფიქრებულად არის დაწერილი და ხელს აწერს გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითის თერმეტი კოლმეურნე.

„დასკვნა“ იგივე თხოვნაა რედაქციისადმი:

„გასული წლის ათ აგვისტოს პარტიის გურჯაანის რაიკომის ბიურომ განიხილა ჩვენი კოლმეურნეობის საკითხი, მაგრამ დღეისათვის არაფერი არ გაკეთებულა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა შალალაშვილი კვლავ განაგრძობს თავის საქმეს. და აცსადეს — მე არავის არ ვემორჩილები, სოფელი ჩემია და როგორც მინდა, ისე უნდა წარვმართოო. რედაქციას ვთხოვთ გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენელი და ადგილზე შეისწავლოს ჯიმითის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა, ამასთან ერთად შეამოწმონ ჩვენი პირადი საქმიანობა“.

განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად ჯიმითში ჩავედით.

ნათქვამია, კარგ ოჯახს სიძლიერე კარ-მიდამოზეც ეტყობაო. კოლმეურნეობის კანტორის კიბეზე ფეი ბევდგით თუ არა, გუნება ეაგვიდდა. მოჯღრეული, უსუფთაო კიბე და აივანი ლუარსად თათქარიძის სახლივით ჭეროიყო, ტალახანმა და მტვრიანმა იატაკმა ხომ მთლად დაგვიძინა გული. მსოლოდ თავმჯდომარის კაბინეტს კედლის ბუთნეებში ეტყობოდა, რომ ოდესღაც იატაკი ფიცოლად ყოფილა შეღებილი. ფანჯრიდან გადავიხედეთ და თვალში გვეცა დანაგვიანებული ეზო, ჭერგადადღილი, გვერდზე მიწნეხილი ფიცრის ტუალეტი. აი როგორია ჯიმითელთა კოლმეურნეობის შტაბ-კანტორა, სადაც გამგეობა, საანგარიშო დარგის მუშაკები მუშაობენ და ფიქრობენ სოფლის აეკარგზე.

პარტიის გურჯაანის რაიკომმა გასული წლის ზაფხულში ზემდგომი ორგანოდან მიიღო ჯიმითელთა განცხადება. სათანადო შესწავლის შემდეგ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების სისწორე რაიკომის ბიუროზე განიხილეს 10 აგვისტოს და დასახეს საკმაოდ სოლიური ღონისძიებანი. რაიკომის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის, გამგეობის და მისი თავმჯდომარის ამხ. შ. შალალაშვილის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში შესამჩნევად მოდუნდა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, ადგილი აქვს მიწათსარგებლობის წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს.

კოლმეურნეობაში თუ 1967-1968 წლებში გამომუშავებული იყო საშუალოდ 69 ათასი კაციდღე, 1970-1971 წლებში კაციდღეთა რაოდენობა შემცირდა 61 ათასამდე, რის შედეგადაც შემცირდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ხარისხი. მარტო მიმდინარე წლის აპრილში, მაისსა და ივნისში კოლმეურნეობაში შრომით მონაწილეობას იღებდა შრომისუნარიან წევრთა 50 პროცენტი. უფრო მეტიც — მეორე და მესამე ბრიგადებში მშრომელთა 32-34 პროცენტი მოაწილეობდა.

გამგეობის თავმჯდომარის შ. შალალაშვილის მუშაობის პერიოდში — 1966 წლიდან დღემდე ვერ შესრულდა ვენახების გაშენებისა და აღდგენითი სამუშაოების გეგმები; ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 184 ჰექტარისა დღეისათვის კოლმეურნეობას ერიცხება 126 ჰექტარი. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე (გარდა 1971 წლისა) არ შესრულებულა ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმები, დაბალია მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი.

კოლმეურნეობაში სათანადო მუშაობა არ წარმოებს აგრეთვე მარცვლეულის, მწესუმშირას, ბოსტნეული და ბაღეჩეული კულტურების წარმოების გასაადიდებლად. ამის გამო უკანასკნელ ხანს სანახე

ქართველ მკვლევართა წვლილი

წარდგენილია სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მიერ 1973 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია 1952-1971 წლებში შესრულებულ სამუშაოთა ციკლი — დამუშავების ეფექტური სისტემების და მაღაროს აეროლოგიის კვლევის დარგში საქართველოს ფენობრივი საბადოების მაგალითზე, რომლის ავტორები არიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ძიძიგური, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ზურაბიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი შ. ონიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ვ. კოლანდაძე, ბ. მიქელაძე, ი. ცინცაძე და ვ. ჭანიშვილი.

ჭიათურის მარგანეცისა და ტყვიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების რაციონალურ ექსპლოატაციაზე დიდად არის დამოკიდებული მინერალური ნედლეულის დანაკარგების მაქსიმალური შემცირება და საქართველოს სამთო მრეწველობის ტექნიკური პროგრესი. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფენობრივი საბადოები ხასიათდება დამუშავების უაღრესად რთული სამთო-ტექნიკური პირობებით (ფენის დიდი სისქე, რომელიც ხშირად 40-50 მ-მდე აღწევს, ტექტონიკური აშლილობები, განლაგების დიდი სიღრმე, მნიშვნელოვანი გაზიანობა, მაღალი ტემპერატურა, ფენების რთული სტრუქტურა, ცვალებადი შედგენილობა და სხვ.), რაც ძნელებს ხდის სამთო საწარმოთა საპროექტო სიმძლავრის ათვისებას, ხელს უშლის თანამედროვე მობეჭვადი მანქანა-მექანიზმების გამოყენებას და აფერხებს საბადოთა ეფექტურ ექსპლოატაციას. რესპუბლიკის ძირეულ მრეწველობის ნედლეულით შეუფერხებელად მომარაგებისათვის აუცილებელია წიაღისეულის მოპოვებით სამუშაოების ინტენსიფიკაცია, ახალი ტექნოლოგიური სქემების დამუშავება და გამოყენება, გეირაბებში ატმოსფერული პირობების პროგნოზისა და ნორმალიზაციის ახალი პროგრესული მეთოდების შემუშავება. საქართველოს ფენობრივი საბადოების რაციონალური დამუშავების პრობლემების გადაწყვეტას, წიაღისეულის დანაკარგების შემცირებას, შრომის უსაფრთხოების ამაღლებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნულ სამუშაოთა ციკლი მოიცავს საკითხთა მთელ კომპლექსს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დამუშავების რაციონალური სისტემების შექმნასთან, ახალი ტექნოლოგიური სქემების წარმოებაში დანერგვასა და გეირაბების ნორმალური ატმოსფერული პირობებით უზრუნველყოფასთან.

სამუშაოთა ციკლში მოცემულია რთული სამთო-გეოლოგიური პირობების მქონე საბადოებზე ქვანახშირის ფენების განლაგებისა და აგებულების თავისებურებათა ანალიზი, რეკომენდებულია ტექნიკური აშლილობების ორიგინალური კლასიფიკაცია და ქვანახშირის საბადოების სამხატო ველების დაჯგუფების წესი ფენების აშლილობის ხარისხის მიხედვით გაკეთებულია აშლილი ქვანახშირის საბადოს გახსნისა და დამუშავების არსებული სქემების კრიტიკული ანალიზი; თეორიულად გადაწყვეტილია მარაგების უთანაბრო განლაგების დროს ბჯარის მიცემის ოპტიმალური ადგილის განსაზღვრის საკითხი, ფენების აშლილი განლაგების დროს რეკომენდებულია კაპიტალური და ძირითადი მოსამზადებელი გეირაბების განლაგების ოპტიმალური სქემები, დადგენილია სამთო წნევის გამოვლინების ყველაზე მოსალოდნელი ფორმები და შემუშავებულია აშლილი ფენების დამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემა; გამოკვლეულია დამუშავების სისტემების შერჩევის საკითხები და განსაზღვრულია რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში განლაგებული ქვანახშირის საბადოს დამუშავების ეკონომიური მიზანშეწონილობა; შემუშავებული და საქართველოს შახტებში დანერგილია დამუშავების მრავალი ახალი სისტემა.

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და სამრეწველო-საცდელი სამუშაოების შედეგად შექმნილია საქართველოს ქვანახშირის საბადოების დამუშავების თეორიული საფუძვლები და დასახულია საქართველოს შახტებზე ნახშირის მოპოვების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ძირითადი გზები და მიმართულებანი.

ჭიათურის მარგანეცის საბადოს ნნიშვნელობა საყოველთაოდ არის ცნობილი. მისი რაციონალური ექსპლოატაცია თანამედროვე სამთო მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალური ამოცანაა. ქართველი მკვლევარები ყოველთვის სათანადო ყურადღებას უთმობდნენ ამ უნიკალური საბადოს ეფექტური დამუშავების საკითხებს. კერძოდ, დამუშავებული და წარმოებაში დანერგილია სხვადასხვა სიმძლავრისა და შედგენილობის მანგანუმის ფენების დამუშავების რაციონალური ტექნოლოგიური სქემები, გამოცდილია საწმენდი სანერგავის კომპლექსური მექანიზაციის რამდენიმე ვარიანტი; შესწავლილი და გადაწყვეტილია მადნების განცალკევებული გამოღების საკითხი, დადგენილია ლავის ოპტიმალური სიგრძე და სიგანე, 4,5 მეტრით უფრო სქელი ფენებისათვის შერჩეულია დამუშავების სისტემების შერჩევის საკითხები მეთოდი, გამონახულია მადნის დანაკარგების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზები და სხვ. სამუშაოთა ციკლში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულების შედეგად გაიზარდა მუშის შრომის ნაყოფიერება, შემცირდა მადნის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დანაკარგები და ამაღლდა მიწისქვეშა სამუშაოებზე საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე. დამუშავების რაციონალური მეთოდების დანერგვამ გაუუჯობესა მაღაროების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და გაანარჩენილია საბადოს არსებობის ვადა, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო და სოციალური მნიშვნელობა აქვს.

ფენობრივი საბადოების ეფექტური დამუშავების პრობლემის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გეირაბებში ნორმალური ატმოსფერული და კლიმატური პირობების შექმნას. ამ საკითხების გადაწყვეტად პრაქტიკულად შეუძლებელია საბადოების რაციონალური დამუშავება.

სამუშაოთა ციკლში ამ მიმართულებით დასმული და წარმატებით გადაწყვეტილია მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანა. გამოკვლეულია საქართველოს შახტების რთული საგეოლოგიო სისტემები, გაკეთებულია მთავარი განაკვეთის საშახტო ვენტილატორების ერთობლივი მუშაობის ანალიზი და სხვ.

შესრულებულ სამუშაოთა შედეგად შექმნილია საქართველოს შახტების გაზური და სითბური რეჟიმის პროგნოზისა და რეგულირების მეცნიერული საფუძვლები.

მთლიანად სამუშაოთა ციკლში დასმული და მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტილია საქართველოს ფენობრივი საბადოების ეფექტური დამუშავების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. შრომები ორიგინალურია; შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. სამუშაოებს აქვს როგორც თეორიული, ზოგად მეცნიერული, ისე პრაქტიკული, სახალხო-სამეურნეო და სოციალური მნიშვნელობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ კვლევების გამოყენებითი ნაწილის წარმოებაში დანერგვის შედეგად მიღებულია 3 მილიონი მანეთი წლიური ეკონომია. ამ სამუშაოებს წარმატებით იყენებენ სხვა საბადოებზე ჩვენს ქვეყნაში და მის ფარგლებს გარეთაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოთა განხილული ციკლით ქართველმა მკვლევარებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა სამთო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

ნ. ბოგველაური,
დოცენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

სტუმრად მეომრებთან

19 თებერვალს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55 წლისთავის წინ თბილისის გარნიზონის ნაწილებს ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გ. გილაშვილი, წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. იურპოლსკი, ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ნ. კ. ბარკოვი, პარტიის იმ რაიკომის პირველი მდივანი, რომლის ტერიტორიაზე დანიკიებულია ჯარის ნაწილი, ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ი. ნ. როგატინი.

ნაწილის მეთაურის, პოლიტიკურ ნაწილში მისი მოადგილის, სხვა ოფიცრების თანხლებით სტუმრებმა დაათვალიერეს ჯარისკაცთა ყაზარმა და სასადილო, მეომართა საყოფაცხოვრებო მომსახურების ოთახი, სასწავლო კლასები, ლენინური ოთახი, სადაც იმართება ლენინური კითხვები, პოლიტიკური მეცადინეობა ჯარისკაცებთან და სერჟანტებთან, მეთოდური კაბინეტი, რომელიც განკუთვნილია ოფიცერთა [illegible] ტრენინგებისა და [illegible] სამხედრო საბჭოს [illegible] ბრძოლისუნარიანობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულოს პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, მტკიცედ და ფხიზლად იდგეს საყვარელი საბჭოთა სამშობლოს სადარაჯოზე.

სიტყვა ეძლევა პ. გ. გილაშვილს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისს კომიტეტის სახელით მან მხურვალედ მიულოცა მეომრებს მოახლოებული ორი ღირსშესანიშნავი თარიღი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე, აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 52 წლისთავი. შემდეგ მან გააცნო მეომრებს ამოცანები, რომელთა გადაჭრისათვის ახლა შრომობს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია.

პ. გ. გილაშვილმა მეომრებს უსურვა ახალი წარმატებები საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სამშობლოს წინაშე მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებაში. (საქინფორმი).

ომის ვეტერანის წიგნი

ამას წინათ მკითხველებმა მიიღეს მთელი რიგი ახალი წიგნები. „საბჭოთა საქართველო დიდ ბრძოლაში. 1941-1945“, ასე ეწოდება გადამდგარი გენერალ-მაიორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბაბალაშვილის მონოგრაფიას. საარქივო მასალების საფუძველზე წიგნში განხილულია საქართველოს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის მუშაობის გარდაქმნა დიდი სამამულო ომის წლებში. ავტორს მოჰყავს საინტერესო ციფრები ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში შეტანილი ქართველი ხალხის წვლილის შესახებ.

ქაირო

თანამშრომლობა ვითარდება

20 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობა, როგორც არაერთხელ აღნიშნავს ეგვიპტის პრესა, ქვეყნის ეკონომიკის სამრეწველო და სახოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარების ფართო პერსპექტივებს სახავს.

თავის მხრივ, ბევრი სამრეწველო საწარმო, რომლებიც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში შენდება ან რომელთა რეკონსტრუქცია მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ეკონომიური ხელშეწყობით, თავიანთი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს მიაწვდის ან უკვე აწოდებს საბჭოთა კავშირს.

განუხრელად იზრდება საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის საქონელბრუნვა. საბჭოთა კავშირი ეგვიპტის აწვდის სამრეწველო მოწყობილობას, ჩარხებს, საშენ მასალებს, ხოლო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან იღებს ბამბასა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციას, ფოლადის ფურცელს, ჯაჭვს, ფართო მოხმარების საქონელს: ტყავგალანტერიას, ხალიჩებს, ავეჯს, პარფიუმერიას, დეკორატიულ-მხატვრულ ნაწარმს და სხვ.

მარტო მიმდინარე წელს ეგვიპტე საბჭოთა კავშირს მიაწვდის 90 ათას ტონა ბამბას, 150 ათას ტონა ბრინჯს, ბევრ სამრეწველო საქონელს.

კანო

ეროვნული პრეგის სესია

20 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების სესია. სესია გახსნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჩინნგ ტინმა.

მთავრობის საანგარიშო მოხსენება სესიაზე გააკეთა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა. მან მაღალი შეფასება მისცა ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლებს ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობის ომში და აღნიშნა ახალი ამოცანები, რომლებიც ვიეტნამელი ხალხის წინაშე დასმულია ეკონომიკის აღდგენასა და სოციალიზმის მშენებლობაში.

ფამ ვან დონგმა დიდად დაიფასა დახმარება და მხარდაჭერა, რომელიც მებრძოლ ვიეტნამს გაუწიეს საბჭოთა კავშირმა, სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა და მსოფლიოს მთელმა პროგრესულმა ძალებმა.

ჯაკარტა

დევალვაციის მიზეზით

19 თებერვალი. (საკდესი). ამერიკული ვალუტის დევალვაციის შედეგად ინდონეზიის ეკონომიკისათვის მიყენებული პირდაპირი ზარალი 35 მილიონ დოლარს შეადგენს. ამას იუწყება ადგილობრივი პრესა.



საბჭოთა კავშირსა და სოფალის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხორციელდება ყოველმხრივი თანამშრომლობა. სსრ კავშირის დახმარებით მიმდინარეობს ჰიდროენერგეტიკული კომბინატის მშენებლობა ადენარე ჯუბაზე ფანოლის რაიონში. კაშხალი, ელექტროსადგური და საირიგაციო სისტემა საუუალებას მისცემს ადგილობრივ გლეხებს მოარწყან რვა ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.
სურათზე: ერთ-ერთ ბაბურდილთან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ნიუ-იორკი

კომუნისტთა შეხვედრა

20 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიისა და მექსიკის კომუნისტური პარტიის ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერეს ორი მოძმე პარტიის დელეგაციების შეხვედრისას მეხიკოში.

შეხვედრის დროს, ნათქვამია განცხადებაში, გაიმართა ინფორმაციის გაცვლა შესაბამის ქვეყნებში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და პარტიათა საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის გამო.

დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. ისინი „მიესალმებიან ვიეტნამელი ხალხის დიად გამარჯვების იმპერიალისტური აგრესიის ძალებზე, ულოცავენ ვიეტნამის მშრომელებსა და მთელ ხალხს, რომელმაც სახელოვანი ავანგარდის — კომუნისტების ხელმძღვანელობით საკუთარი ძალებით და მოფლიოს ხალხების, განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერით დაამარცხა იმპერიალიზმი.

განცხადებაში გამოთქმულია მხარდაჭერა არაბ ხალხთა ბრძოლისადმი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, აგრეთვე მოითხოვა, რომ განუხრელად შეასრულონ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

ერთობლივ დოკუმენტში სოლიდარობას უცხადებენ კუბელ ხალხს, რომელიც აშენებს სოციალიზმს, მიუხედავად იმპერიალისტური ბლოკადისა, პუერტო-რიკელი ხალხის ბრძოლას, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიალიზმის წინააღმდეგ, პანამის ხალხს, რომელიც მოითხოვს პანამის არხის ზონაზე თავისი სუვერენიტეტის აღდგენას, ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც ექსპლოატაციის წინააღმდეგ იბრძვიან.

ლონდონი

პროფკავშირთა მოთხოვნები

20 თებერვალი. (საკდესი). ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ დაგზმ კონსერვატორთა მთავრობის ხელფასის „გაყინვის“ ანტიმუშური პოლიტიკა.

ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს მიერ მოწოდებულ მოხსენებაში, რომელიც დღეს აქ გამოქვეყნდა, ხაზგასმულია, რომ კონსერვატორთა მთავრობა ცდილობს ანტიმუშური კანონების განხორციელების გზით შექმნას „მუდმივი სისტემა კონტროლისა“ ინდუსტრიის მშრომელთა ხელფასებზე.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მთავრობის კანონი ხელფასის შესახებ აუსრულს სრულ კონტროლს სამი წლით და იგი განახლდება ყოველწლიურად. ამასთან ყოველი შეღავათრაგება ხელფასის საკითხებზე მკაცრად შეიზღუდება.

ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ გადაჭრით უარყო მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ქვეყნის პროფკავშირები პასუხს აგებდნენ ინფლაციისათვის, რომელიც ინგლისის ეკონომიკას მოეკიდა. არც უახლოეს დროში, არც შორეულ პერსპექტივაში, ნათქვამია მოხსენებაში, ბოლო არ მოეღება ინფლაციას პოლიტიკის საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს ინგლისელი მუშათა ხელფასის შეზღუდვას. ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ მთავრობას მოსთხოვა „ანაბარიანელის ღონისძიებანი, რათა შეაკავოს ფასების ზრდა, განსაკუთრებით სურსათის ფასების ზრდა, აგრეთვე შეამციროს ბინის ქირა და ტრანსპორტით მოგზაურობის ფასი.

პროფკავშირები აგრეთვე მოითხოვენ საბინაო მშენებლობის შეკვეცილი საუსაფიანის აღდგენას, საერთო ბაზრის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გადასინჯვას და საბჭისო დახმარებათა გადიდებას. გენერალურ საბჭოს მიაჩნია, რომ მთავრობამ უნდა გადასინჯოს მსხვილი კაპიტალისათვის მიცემული საგადასახადო შეღავათების სისტემა და დაამყაროს კონტროლი მონოპოლიებისადმი.

გამოქვეყნებული მოხსენება განსაკუთრებულად წარდგინება მარტის დამდეგს ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის საგანგებო კონგრესს, რომელშაც უნდა შეიმუშაოს პროფკავშირების მომქმედების გეგმა ხელფასის „გაყინვის“ მთავრობისეული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ, პროფკავშირულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს დოკუმენტი არ შეიცავს მოწოდებას აქტიური საგაფიცვო მოქმედებისათვის, რასაც მთავრობას ხელი აღებინონ მწარმოელთა საარსებო დონის წინააღმდეგ შეტევაზე, ინგლისის პროფკავშირთა ძირეულ ორგანიზაციებში სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს მოწოდებას გამართონ საერთო-ეროვნული 24 საათის გაფიცვა ხელფასის „გაყინვის“ მთავრობისეული პოლიტიკის პასუხად.

ავტომობილსაშენებელი, თვითმფრინავსაშენებელი, ულუსის მაღაროელთა, გაზის მუშაკთა დელეგატებმა კოვენტრიში გამართულ კონფერენციაზე მოითხოვეს, რომ ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის საგანგებო კონგრესზე განსახილველად შეიტანონ საკითხი საერთო ეროვნული გაფიცვის მოწყობის შესახებ. საერთო მილიონნახევრიან მუშის მტკიცე მოქმედება, რათა დაითმაგნოს კონსერვატორთა შეტევა, წერს „ნიუ-ეიჯი სტატეს“, სწორედ ასეთი პოზიცია, ბაზს უსვამს „ტაიმი“, უნდა დაიკავოს ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის საგანგებო კონგრესმა.

გავშვი შეცდომით მოიტაცეს

გადაუჭარბებელად შეიძლება ითქვას, რომ ამ ამბის შესახებ რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი იტალია ლაპარაკობდა.

...მავი „მერსედესი“ იტალიის პატარა ქალაქ პოლინიანოს სკოლასთან გაჩერდა. მანქანიდან გადმოსული ქალი ორმოცი წლისა თუ იქნებოდა. მან გაიჩერა სკოლისაკენ მიმავალი გოგონა და სთხოვა გამოეძახა რვა წლის ანტუანელა ინკრავალო. როგორც კი ბავშვი გამოჩნდა, ქალმა იგი ავტომობილანაში შეთრია და მძღოლმა სწრაფად დაძრა მანქანა.

იმავე დღეს ქალი და გოგონა ბირის აეროპორტში თვითმფრინავში ჩასხდნენ და რომში გაფრინდნენ, იქიდან პარიზში, მეორე დღეს კი უკვე ნიუ-იორკში იყვნენ.

გატაცება გამოძალვისათვის? მაგრამ ანტუანელა ფრუჯის მამა ბოსტნეულით წვრილი მოვაჭრეა.

იტალიური წარმომობის ამერიკელი ქალია ლიარუჩი — ასე ერქვა გატაცებელს — რამდენიმე წლის წინათ გასცილდა თავის ქმარს ჭუზეპე ინკრავალოს. ქმარი იტალიაში დაბრუნდა და თან წაიყვანა შვილი ანტუანელა. ქალმა მაშინ წინააღმდეგი არ იყო ამისა. მაგრამ გავიდა წლები და მან მოინდომა ბავშვის გვერდზე ყოფნა. მომართა ყოფილ ქმარს, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ გადწყვიტა მოეტაცა შვილი.

პოლინიანოში, საიდანაც წარმოშობით არიან ქმილი და ჭუზეპე, ცხოვრობენ ქალის მამა და დედინაცვალი, — ისინი დაეხმარნენ მას. მაგრამ გოგონამ, რომელსაც მიმართა ქმილმა სკოლასთან, როგორც ჩანს კარგად ვერ გაიგო მეორი და დიუძანა თუმცა ანტუანელას, მაგრამ არა ინკრავალოს, არამედ ფრუჯის. იგი ძალიან ჰგავდა ანტუანელას ფოტოსურათიდან, რომელიც ქმილას თან ჰქონდა. საათვალიც კი იმავე ფორმისა იქნა. ანტუანელა ინკრავალოს დედამ ვერც კი შეამჩნია შეცდომა, რაც არ უნდა იყოს, რამდენიმე წელიწადი არ ენახა შვილი.

ნიუ-იორკში ჩასვლის მეორე დღეს ბრუკლინის იტალიური ქვარტალის ერთ-ერთ სახლში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დაიკავეს.

— რატომ არავის არაფერი უთხარი, რომ მოგიტაცეს, ამერიკაში მგზავრობის მთელი დროის მანძილზე? — ჰკითხეს მათ ანტუანელას.

— მე ძალიან შემეცოდნენ ეს უცნაური სინორრები, — უპასუხა მან, — და არ მინდოდა მათთვის რამე ცუდი გამეკეთებინა...

ამის შესახებ იტყობინება იტალიური გაზეთი „ტემპო“.

დიდმნიშვნელოვანი პრობლემები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მოცვავალი სესიის გამო

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ო. პივოვაროვი იუწყება: მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკითხები, საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებანი უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიკავებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი XXVIII სესიის დღის წესრიგში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა სესიის წინასწარ დღის წესრიგში შესატანი საკითხების ნუსხა. სესია ამა წლის 18 სექტემბერს გაიხსნება ნიუ-იორკში.

მათ შორის არის განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტის მოხსენება, კომიტეტი შექმნილია „გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ინიციატივა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ და დასახა მისი მოწვევის პრაქტიკული ნაბიჯები.

მთელი რიგი პუნქტები ეძღვნება საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას. სოციალისტური ქვეყნების დაბეჯითებით ღონისძიებების შედეგად ბაქტერიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის კონვენციის მიღების შემდეგ რიგში დგას საკითხი ქიმიური იარაღის ანალოგიური აკრძალვის შესახებ, ამ საკითხზე ჟენევის განიარაღების კომიტეტში უკვე წარმოდგენილია კონვენციის შესაბამისი პროექტი, რომელიც სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიმუშავეს.

შეტანილია საკითხები ყველა ატომური და თერმოატომური გამოცდის შეჩერების აუცილებლობის შესახებ, მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენებისა საერთაშორისო თანამშრომლობის, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის შენარჩუნების შესახებ.

დღის წესრიგში კვლავ დასმულია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციის განხორციელების საკითხი, ეს უმნიშვნელოვანესი დეკლარაცია მიიღო გენერალური ასამბლეის XXV სესიამ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივის შედეგად, ოვი ასახავს უშიშროების განმტკიცების დარგის ყველა მთავარ დებულებას, რომელთაგან ძირითადია დებულება იმის შესახებ, რომ შეუწყნარებელია ტერიტორიებ ის შეძენა ძალით დაუშვერების ან მისი გამოყენებით დამუშერების შედეგად.

უწინდებურად წინასწარ ნუსხაში შეტანილია ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის საკითხი.

შეტანილია გაერთიანებ ულ ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების, და კერძოდ ორივე გერმანული სახელმწიფოს მიღების საკითხი.

მთელი რიგი პუნქტები ეძღვნება აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმისა და რასიზმის საბოლოოდ აღმოფხვრის პრობლემებს.

სულ XXVIII სესიის დღის წესრიგის საკითხთა წინასწარ ნუსხაში შეტანილია 102 პუნქტი.

ინგლისური სამხედრო თვითმფრინავები — ჩინეთს

20 თებერვალი. (საკდესი). ინგლისის პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ „ჩინეთი ინტერესს იჩენს“ ინგლისში ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი „ჰარიერის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავის შესყიდვისადმი.

პრესა აღნიშნავდა, რომ საქმე ეხება 200 ასეთი თვითმფრინავის შეკვეთას. „ჰარიერის“ მარკის თვითმფრინაველი შეიერთებულ ი შტატების საზღვარ ქვეითი ჯარის შეიარაღებაში შედის.

ლონდონის გაზეთების ცნობები დაადასტურა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ამ სამინისტროს წარმომადგენელის სიტყვით, „ინგლისის მთავრობამ გაიგო, რომ ჩინეთის მთავრობის ფირმა „ბაუერ-სოდლისათვის“ მოუმართავს შეკითხვით ჩინეთისათვის „ჰარიერების“ მიწოდების შესაძლებლობის თაობაზე.

თავდაცვის მინისტრმა ლორდმა ქარინგტონმა აღნიშნა, „არ გამოვრიცხავ, რომ ჩინეთს, შესაძლოა ნება დაერთოს შეისყიდოს „ჰარიერის“ ტიპის თვითმფრინავებიო“.

ამასთან დაკავშირებით ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“ წერს, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღონ, ეს კონსერვატორთა მთავრობის ანტისაბჭოთა სარატეგიის შედეგი იქნებაო.

● დაიმსხვრა ამერიკის ორმოტორიანი თვითმფრინავი, რომელიც მილუოკიდან (ვისკონსინის შტატი) მედიოდა სერკლვილში (ოჰაიოს შტატი). თვითმფრინავში მყოფი ოთხი კაცი დაიღუპა. კატასტროფის მიზეზი იყო ხანძარი, რომელიც თვითმფრინავის ერთ-ერთ ძრავაში გაჩნდა.

● 56.300 ამერიკელი დაიღუპა შეერთებული შტატების გზებზე 1972 წელს. ეს ავტომობილიზაციის მსხვერპლთა ყველაზე დიდი რიცხვია ამერიკის მთელ ისტორიაში საავტომობილო კატასტროფებში, გარდა ამისა, დაშავდა 2 მილიონამდე ამერიკელი.

● ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის მარტი იანვარსა და თებერვალში შეერთებულ შტატებში დაიხოცა 5.179 კაცი გამძვინვარებული გრიპის ეპიდემიის შედეგად. გრიპი მძვინვარებს ქვეყნის 122 ქალაქში.

● მეცნიერებმა საბერძნეთის იმიტოსის მთების ერთ-ერთ გამოქვაბულში (პირეის მახლობლად) იპოვეს ძველი ადამიანის თავის ქალა, რომელიც აქ ათი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. ამას რომ იუწყება საბერძნეთის ანთროპოლოგიური საზოგადოება ალნიშნავს ნაპოვნის დიდ მეცნიერულ ღირებულებას ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შემდგომი შესწავლისათვის.

● ჟალაპ ჩარლსტონის (სამხრეთ კაროლინა) პოლიციამ და ხელისუფლებამ კონფისკაცია უყვეს 2 მილიონ დოლარად ღირებულ ჰაშიშის პარტიას. როგორც ფედერალურ ხელისუფალთა წარმომადგენელმა განაცხადა, ნარკოტიკი შეერთებულ შტატებში შემოიტანეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰამბურგიდან. ორი ამერიკელი კონტრაბანდისტი დაპატიმრებულია.

ნიუ-იორკი

კომუნისტთა შეხვედრა

20 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიისა და მექსიკის კომუნისტური პარტიის ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერეს ორი მოძმე პარტიის დელეგაციების შეხვედრისას მეხიკოში.

შეხვედრის დროს, ნათქვამია განცხადებაში, გაიმართა ინფორმაციის გაცვლა შესაბამის ქვეყნებში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და პარტიათა საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის გამო.

დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. ისინი „მიესალმებიან ვიეტნამელი ხალხის დიად გამარჯვების იმპერიალისტური აგრესიის ძალებზე, ულოცავენ ვიეტნამის მშრომელებსა და მთელ ხალხს, რომელმაც სახელოვანი ავანგარდის — კომუნისტების ხელმძღვანელობით საკუთარი ძალებით და მოფლიოს ხალხების, განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერით დაამარცხა იმპერიალიზმი.

განცხადებაში გამოთქმულია მხარდაჭერა არაბ ხალხთა ბრძოლისადმი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, აგრეთვე მოითხოვა, რომ განუხრელად შეასრულონ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

ერთობლივ დოკუმენტში სოლიდარობას უცხადებენ კუბელ ხალხს, რომელიც აშენებს სოციალიზმს, მიუხედავად იმპერიალისტური ბლოკადისა, პუერტო-რიკელი ხალხის ბრძოლას, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის

თელავი

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Ა. ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲐ 1973 ᲬᲚᲘ

მწყობრში ჩადგა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საძოვრების გაუწყლოვანების საექსპლოატაციო სამმართველოს ვერტიკალური ჭაბურღილების საექსპლოატაციო უბანი, რომელიც მომსახურებას გაუწევს თელავისა და ახმეტის რაიონების ფრონტალურ ჭაბურღილებს, ხელოვნური დაწვიმების დანადგარებს, მოსასწყლობის სასმელი წყლით მომარაგებას.

უბანი დაკომპლექტებულია კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით და მომზადებულია ყველა პირობა იმისათვის, რომ წელსვე უბანმა მომსახურება გაუწიოს სულ ცოტა 35 ჭაბურღილს.

უბნის წინაშე განსაკუთრებული პერსპექტივები გადაიშლება მას შემდეგ, რაც კახეთის ველი მაცოცხლებელ წყალს მიიღებს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემიდან.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲡ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ დაამთავრა მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი „საქსოფლტექნიკის“ თელავის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზამ. თელავისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ბაზამ გეგმით გათვალისწინებული 5.900 ათასი მანეთის ნაცვლად მიჰყიდა 7.646 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები, სამშენო მასალები და სხვა საქონელი.

ბაზამ 1973 წლისათვის სარეალიზაციოდ უკვე მიიღო იარაღ-მანქანების, მინერალური სასუქებისა და სხვა საქონლის პირველი პარტიები. მათ შორის არის „ტ-16“ მარკის 12 ტრაქტორი, 150 ტონა სავენახე მავთული, ავტომანქანის საბურავები, მინერალური სასუქები.



Ა. ᲑᲠᲝᲜᲡᲙᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ

ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ დამთავრდა მშენებლობა და ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და თეთრეულის რეცხვის ფაბრიკა. ფაბრიკა მომსახურებას უწევს როგორც მოსახლეობას, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.



ᲖᲐᲕᲗᲘᲐᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲗ

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე დათბა. აჭარის კურორტებზე მრავალი დამსვენებელი — მზისა და ზღვის მოყვარული ჩამოდის. მთელი დატვირთვით მუშაობენ პანსიონატი „მზიური“ მახინჯაურის კურორტზე, ბათუმის ტურისტული ბაზა, დასასვენებელი სახლი „მახინჯაური“, პანსიონატი „მწვანე კონცხი“ და სხვები.

ამ დროს კი ბაკურიანში მიმდინარეობს მოთხილამურეთა და ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებები. თოვლის სქელ საფარს დაუფარავს შენობები და ხეები, მინდვრები და მთების მწვერვალები.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტებმა ნ. ანასტასიევმა და მ. დათიაშვილმა ეს სურათები ერთდროულად, პირველმა აჭარაში, მეორემ კი ბაკურიანში გადაიღეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ბაკურიანის ერთ-ერთი კუთხე; ქვემოთ — ტურისტების ჯგუფი კურორტ მწვანე კონცხის პლაჟზე.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). დოსააფის ახალციხის ტექნიკური მომზადების სკოლა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. გასული სასწავლო წლის შედეგების მიხედვით სკოლამ პირველი ადგილი დაიკავა ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების დოსააფის სასწავლო ორგანიზაციებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა დოსააფის რაიონული აქტივის კრება, რომელიც გაიმართა პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში.

ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. კარპოვმა დოსააფის ახალციხის ტექნიკური მომზადების სკოლის კოლექტივს მიულოცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და სკოლის დირექტორს ა. გელაშვილს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დოსააფის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შენგირაძე, კომკავშირის ახალციხის რაიკომის მეორე მდივანი ე. მესხიძე, რაიონის სამხედრო კომისარი გ. ბედანოვი, წვევამდელი ვ. ჩერედოვი, საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ა. მექვაბიშვილი.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 4

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეოთხე ნომერი.

ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲜᲐᲮᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲜ ენგურჰაესელმშენებლების თვითმოქმედი კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნა ერმოქმედებანი კომედიების საღამო: ა. რეხვიის — „ქალბატონები“, მ. გოგიაშვილის — „ერთგული ქმრის მორჯულება“ და ს. კლდიაშვილის — „ანკეტა“. დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს პ. წულაიას, მხატვრული გაფორმება — რ. ესარდიას და ნ. ცანავას, მუსიკალური გაფორმება — ვ. ლარინს.

Ზ. ᲐᲚᲬᲘᲒᲐᲘᲐ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ონის სახალხო თეატრის სცენაზე მაყურებელმა ნახა გიორგი პაპიაშვილის ორნაწილიანი დრამა „ფერფლიდან აღმდგარი“, რომლის დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატები: ა. ციხისელი, ი. და მ. შიმშილაშვილები, ნ. ლობჟანიძე, ეკ. რეხვიაშვილი, ტ. ხიდეშელი, მ. ჯაფარიძე, თ. არჩვაძე, ვ. და ა. გავაშელები, ვ. ბერუჩეკი, შ. ლობჟანიძე და სხვები, სპექტაკლს მაყურებელი მოწონებით შეხვდა.

Დ. ᲑᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲡᲐᲐᲒᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ტრანსპორტი თანამედროვე ადამიანისათვის მოხმარების ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება გახდა. ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ იზრდება ავტომანქანების რიცხვი. ამიტომ ყოველი წლის გაზაფხულზე ეწყობა ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კორესპონდენტმა ბ. ბახტაძრიძემ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსს, მილიციის პოლკოვნიკ რ. თუშურაშვილს მკითხველებისათვის ეთქვა ავტომოტოტრანსპორტის წლევანდელი ტექნიკური დათვალიერების შესახებ.

— წელს ავტომოტრანსპორტის დათვალიერების ვადაა 20 თებერვლიდან 20 მაისამდე. დათვალიერების მიზანია ტექნიკურად შემოწმდეს საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციაში მუდმივ ან დროებით აღრიცხვაზე აყვანილი, აგრეთვე აღსარიცხავი საავტომობილო საწვერები, მისაბმელები, ნახევრადმისაბმელები, მოტოციკლები, მოტოროლერები და მოპედები, რომელთა ძრავის სამუშაო მოცულობა სულ ცოტა 49,8 კუბური სანტიმეტრია.

საგრანსპორტო მეურნეობათა ხელმძღვანელები და ტრანსპორტის საშუალებათა ინდივიდუალური მფლობელები ტექნიკური დათვალიერებისათვის მოვალენი არიან ეს საშუალებანი სათანადო წესრიგზე მოიყვანონ. ამასთან ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეგატების, მექანიზმებისა და დეტალების მდგომარეობას, რომელთა უწესივრობა საფრთხეს უქმნის მოძრაობას, აგრეთვე ყურადღება დაეთმობა რადიოგადაცემების ხელმეშვლელი პირობების აღმოსაფხვრელი სამარჯვეს არსებობას, ავტობუსებსა და სატვირთო ავტომობილებზე ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების გამართულობას. საეჭვოდ არ დაიშვებიან საგრანსპორტო საშუალებები, რომელთა მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მოძრაობის უშიშროებას, აგრეთვე ავტომობილები და მოტოციკლები, რომელთაც არა აქვთ სამარჯვეები რადიოგადაცემების ხელის შეშლის აღმოფხვრისათვის. ეს ხელისშემშლელი პირობები აბრკოლებენ ნორმალურ მიწოსნაგდა მოძრავ რადიოკავშირს, რომლითაც აღეჭურვილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ოპერატიული და ავარიულ-ტექნიკური სამსახურების, სახანძრო დაცვისა და სხვათა ავტომობილები. ასეთი სამარჯვების უქონლობა წერილობითად უშლის ხელს სატელევიზიო გადაცემებსაც.

ამასთან, მოსამზადებელი ღონისძიებანი და ტექნიკური დათვალიერება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობისა და ავტომობილების გარეგნობის გაუჯობესების მიზნით. ყურადღება უნდა დაეთმოს მათს შეფერილობას, სატვირთო ავტომობილებსა და მისაბმელების ბორტებზე მაღუძლირებელი ნომრების ნიშნებს. ტექნიკურ დათვალიერებაზე უნდა წარმოადგინონ ტექნიკურად გამართული ავტომობილები, რომელთა ნომრები შეესაბამება სანათი ფარების მინებზე შესაბამის მარკირებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო ხანს გასშირდა საგზაო-საატრანსპორტო შემთხვევები საღამოთი და ღამით, რომელთა მიზეზი იყო ის, რომ მძღოლებს თვალს სჭრიდა შემხვედრი მანქანების სინათლე, საჭიროა ფარები მოწესრიგდეს არსებული ინსტრუქციების შესაბამისად.

ავტომობილებს უნდა მოეხსნას უკანონოდ დადგმული დამატებითი ფარები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ავტომობილთა კონსტრუქციით, აგრეთვე წითელი კატაფოტები და 8769-58 სახელმწიფო სტანდარტის მაშუქი ნარინჯისფერი მინები.

მოძრაობის უსაშიშრობის ამაღლების მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურმა მფლობელებმა წესრიგში უნდა მოიყვანონ მოხვეული მაჩვენებლები, ხელსაწყოთა კომპლექტები, რომლებსაც ქარხნები უშვებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოსთან შეთანხმებული ტექნიკური-დოკუმენტაციით და სავაჭრო ქსელი იღებს.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲢᲝ-ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲐᲒᲐᲑᲝ ᲑᲝᲒᲕᲔᲠᲐᲫᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲡ Ო. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ უწვეული თბილი, მზიანი დარი იდგა იმ დღეს მოსკოვში... მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალში უნდა წარმოედგინათ ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

როგორ მიიღებს მოსკოვის მაყურებელი ქართველი გლეხის აგაბო ბოგვერაძის სატკივარს, თანაუგრძნობს კი?

პრემიერის დაწყებამდე შევხვდით დამდგმელ-რეჟისორს რსფსრ დამსახურებულ არტისტს ი. თარხანოვს, რეჟისორ ვ. პეშკინს და თეატრის საელტერატურო ნაწილის გამგეს ა. კუხლერს.

— მოდი, შევთანხმდეთ, — თქვა ხალიტერატურო ნაწილის გამგემ, — წარმოდგენამდე თეატრზე ნუ ვისაუბრებთ.

— ნუ ვისაუბრებთ! — დავეთანხმეთ ჩვენც.

მაგრამ ყველა დაწყებული საუბარი მაინც ახალ პრემიერასთან მიდიოდა.

პიესის დამდგმელი-რეჟისორი ი. თარხანოვი კარგად იცნობს საქართველოს, მის ყოფაცხოვრებას. დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი რამდენიმე ხნით თბილისში ცხოვრობდა და სწავლობდა. ივანეგ შვილია ცნობილი მსახიობის მიხეილ თარხანოვისა, რომელიც ღვიძლი ძმა იყო შეუდარებელი აქტიორის მოსკვინისა.

— კი მაგრამ — სად თარხანოვი, სად მოსკვინი? — ვეკითხებით ჩვენ.

— ჩვენც მოსკვინები ვართ. მამაჩემს არ მოუსურვებია ამოფარებოდა ძმის, დიდი მსახიობის პოპულარულ სახელს და გვარი გადაუთქვამს. ასე გავხდით თარხანოვები.

თეატრალურ ხელოვნანთა მაღალი ტყვეია ივანე თარხანოვის ყოველ სიტყვას, ყოველ ჟესტს, ეტყობა აღფრთოვანებია ქართველი დრამატურგის პიესას და ისევ ისევ უბრუნდება ცალკეულ ადგილებს პიესიდან.

ა. კუხლერი ცდილობს რეჟისორის შეჩერებას, ხანდახან საკუთარ ლექსებს გვიკითხავს, მაგრამ საუბარი მაინც პიესამდე, პრემიერამდე მიდის.

...და ან უკვე თეატრის დარბაზში ვართ. სინათლე ნელ-ნელა ქრება, ქართული მელოდია შემოიჭრა სცენიდან, ფარდა იხსნება.

პირველი აქტიდანვე მაყურებელი დაიპყრეს რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. ზოლოტუხინმა (აგაბო) და სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. სტეპანოვამ (კესარია). მოქმედება თანდათან მძაფრდება, მაყურებელი დიდი ყურადღებით უსმენს რსფსრ დამსახურებულ არტისტებს ვ. ტროშინს (ოთველი), ა. ვერბიცკის (დიტო), გ. შევცოვს (დუმბშანი), ე. ხრომოვას (ბოგოლა), ლ. სუხოლინსკაიას (ეუჟუნა), მსახიობებს ვ. აბდულოვს (ბუსუტი). კ. მინინას, (ლანდა), ი. აკულოვას (ცაგო), ს. ხაფონოვს (კარპე).

სპექტაკლის მთელ მსვლელობას კარგად ეიწყმის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. ფარცხალაძის მუსიკა. ქართული კოლორიტული პეიზაჟები კარგად გამოუსახავს თეატრის მხატვარს ა. ოკუნს.

პრემიერა მთავრდება, მაგრამ ტაში არ ცხრება. მაყურებელი გულთბილად ულოცავს სახმხატვრო თეატრის კოლექტივსა და დრამატურგს წარმატებას.

მაყურებელთა აზრი კარგად გამოხატა ლენინგრადელმა ინჟინერ-მშენებელმა მ. დუბროვსკიმ, რომელიც პრემიერის დამთავრების შემდეგ ჩვენთან მოვიდა. მან აღნიშნა.

— არ შემიძლია ჩემი სიხარული არ გაგიზიაროთ როგორც რიგითმა მაყურებელმა. ბედნიერება მხვდა აქ დავსწრებოდი დრამატურგ ო. იოსელიანის შესანიშნავი პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ პრემიერას. ო. იოსელიანმა მიზნად დაისახა გადმოეცა სოფლის კეთილსინდისიერი მშრომელის, მშობლიური მიწაზე უსაზღვროდ შეყვარებული გლეხკაცის აზრები და ფიქრები. უნდა ითქვას, რომ მან ეს სავსებით მოახერხა. ფიქრობ, რომ პიესის ავტორიც დაკავშირებულია ხოფელთან, უყვარს მშობლიური მიწა და ამით იწვევს ჩვენში, მაყურებლებში, ღრმა სიმპათიას ქართველი ხალხისა და მისი მიწისადმი.

ო. იოსელიანის ეს პიესა ასევე წარმატებით დაიდგა მოსკოვის გორკოს სახელობის დრამატულ თეატრში. ამასთან დაკავშირებით „ტეატრალნაია მოსკვაში“ გამოქვეყნდა აგაბო ბოგვერაძის როლის შემსრულებლის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ბორის ჩერკოვის წერილი „ჩემი მეგობარი აგაბო“.

„1972 წელს, — აღნიშნავს იგი ამ წერილში, — ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართული დრამატურგის ო. იოსელიანის პიესაში „სანამ ურემი გადაბრუნდება“ აგაბო ბოგვერაძის როლი. ეს დადგმა თეატრმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნა.

ო. იოსელიანის პიესა თეატრს და მსახიობებს აძლევს მდიდარ მასალას მაღალი შემოქმედებისათვის. მთავარი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, პიესაში და კერძოდ ჩემი გმირის სახეში არის ადამიანის კავშირი თავის მიწასთან. მეკუთხე ბელეხი აგაბო მიწაზე შრომობს და მიწისაგან იღებს სულიერ ხაზრდოსაც. თავისი არსებობის გამართლებასაც აქ ხედავს, აქედან გამომდინარეობს სწორედ მისი თვითდაჯერებული მოქმედება, მისი ოპტიმიზმი, ვაჟკაცობა და მხნეობა. მისი ჯანსაღი და მხიარული სული. როდესაც ვეძებდი და ვფიქრობდი ზოგადკაცობრიულზე აგაბოს სახეში, ყოველთვის ვიგონებდი უკვდავ კოლა ბრუნონს — თავისი მიწის ღვიძლ შვილს. აქვე უნდა ვთქვა, რომ აგაბოს სახის შექმნაში დიდად დამეხმარა რომენ როლანის ნაწარმოებები, დამეხმარა სულიერად მომეგონო ქართველი გლეხის სახისათვის, სხვანაირად არც შეიძლება — აგაბოს ხასიათში ძალიან ბევრია ზოგადკაცობრიული, ინტერნაციონალური.

მაგრამ შეუძლებელი იყო არ გამეთვალისწინებინა ქართველი დრამატურგის ო. იოსელიანის თავისებურება: ტემპერამენტი, იუმორი, სამხიარულო განწყობილების ცოდნა, ადამიანთა ურთიერთობის, დამოკიდებულებისა და ქცევის ტრადიცია — ყველაფერი ეს უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ შეგვექმნა ნათელი, კოლორიტული, ამ საინტერესო პიესის შესაფერი სპექტაკლი. მე და ჩემმა მეგობრებმა მუშაობის პროცესში ბევრ რამე ახალს შევიგენით, გავმდიდრდით შემოქმედებითად...“

ახლა შეიძლება ითქვას, რომ აგაბო ბოგვერაძე თამამად დაბიჯებს მოსკოვის ქუჩებში.

Დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

Თ. ᲕᲘᲡᲙᲝᲕᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: სცენა მოსკოვის სახმხატვრო თეატრის სპექტაკლიდან „სანამ ურემი გადაბრუნდება“. აგაბო — ლ. ზოლოტუხინი, კესარია — ა. სტეპანოვა.

Ი. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲒᲔᲡ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ სკამზე ხალხის დოვლათის დამტაცებლები სხედან. აქ ისინი მოიყვანა გამდიდრების წყურვილმა, ანგარებამ. ერთი მათგანია საკავშირო ქარხანა „პრომსვიაზის“ კომპლექტაციის სექტორის ყოფილი უფროსი ვ. ბენიამინსონი, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას თანამდებობით უფლება ჰქონდა მინიჭებული ქარხანა უზრუნველეყო ხელსაწყოებითა და დეტალებით, მაგრამ მას იყენებდა პირადი ანგარებითი მიზნებით, სისტემატურად ეწეოდა სახელმწიფო ქონების დატაცებას.

მისი თანამზრახველები იყვნენ მოსკოვის ერთ-ერთი საწარმოს მომარაგებისა და გასაღების განყოფილების უფროსი ვ. ბორნკინი და მისი მოადგილე ვ. ტისონოვი. მოგვიანებით ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაითრიეს მიტიშჩის ქარხნის უფროსი ინჟინერი ა. ერემეევი და მთავარმოსკოვმშენთან არსებული ერთ-ერთი სამმართველოს გამწყობი ი. კოგანი.

სასამართლოზე გამოვლინდა ფაქტები, რომლებიც მთლიანად ამხილებენ ბორტამქმედებს. აი ერთი მათგანი, ფიქციური განაცხადებითა და მინდობილობებით ბენიამინსონმა მაღალია „ელექტროსელსაწყოდან“ მიიღო 20 მაგნიტოფონი, რომელთა საერთო ღირებულება 3900 მანეთია. საწყობში ეს მაგნიტოფონები არ მოხვედრილა. ქარხანაში კი ფიქციური დოკუმენტებით შემოსავალში გაატარეს სხვა დეტალები და ხელსაწყოები, რომლებიც მაქინაციების გზით მოიპოვეს. მოპარული მაგნიტოფონები გაასაღეს, ფული კი გაიყვეს. შედარებით მოკლე დროში დამტაცებელთა ჯგუფმა მიითვისა დაახლოებით 25 ათასი მანეთის საერთო თანხის ღეფიციტური დეტალები.

საქმის გარემოებანი მოწმობენ, რომ ბორტამქმედნი ასე მოქმედებდნენ ქარხანაში ჯეროვანი კონტროლის უქონლობის, იმ პირთა უყურადღებობის გამო, რომლებმაც უნდა დაამყარონ მკაცრი საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსური კონტროლი. უკონტროლობამ, იმ ადამიანთა სისტემატურმა შეუმოწმებლობამ, რომლებსაც მატერიალურ ფასეულობებს ანდობდნენ, შექმნა ისეთი ვითარება, რომელშიც შეეძლოთ ემოქმედათ დამტაცებლებს.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.00 — სკოლების დასახმარებლად — გეოგრაფია (მეექვსეკლასელთათვის. „ევროპის ბუნებრივი ზონების განლაგება“), 11.25 — სკოლებისათვის — ფიზიკა. საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნა, 12.10 — სკოლების დასახმარებლად — გეოგრაფია (მეექვსეკლასელთათვის. „ევროპის ბუნებრივი ზონების განლაგება“). გამეორებით, 12.35 — მხატვრული ფილმი — „მანდილოსანი ფინიათი“, 17.00 — „ექიმთა დასახმარებლად“, 17.45 — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, მარქსიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტის გამოსვლის 125 წლისთავის გამო (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — ახალი ამბები, 18.20 — კონსერტი მოსწავლეთათვის, 18.30 — კონსერტი მოსწავლეთათვის, 19.10 — ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის. „სოციალისტური დაგეგმვის ორგანიზაცია“, 19.30 — „ხუთწლედი — მოქმედებაში“ — „ორეტნოსნელ მეცხოველეებთან“, 19.45 — „მეტი ყურადღება საბინაო კოოპერატივებს“, 20.00 — „ეროვნული კოოპერაციიდან“, 20.30 — „ეროვნული ინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების ალბომი“, 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „ცეცხლოვანი ბილიკები“, 23.15 — კინონარკვევი. 23.45 — მსოფლიოს ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეცხრე-მეათეკლასელთათვის. „ელექტრონული დენის წარმომობა და ომის კანონი“), 18.00 — განცხადებები, 18.05 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — „ტექნიკურ მექანიკაში, 19.05 — ხაზვაში, 19.50 — „კინოფიშა“, 20.20 — მხატვრული ფილმი — „უკანდასავლი გზა მოჭრილია“ (მეორე სერია).

ᲗᲘᲐᲢᲠᲘ

21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

რუსთაველის სახელობი სახელმწიფო აკადემიური — ᲮᲘᲓᲘ; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ᲡᲐᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲝᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲣᲠᲘᲔᲚ ᲐᲙᲝᲡᲢᲐ; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲙᲣᲠᲐᲪᲐᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ზამთრის სახეობებში, რომლის სტარტზე გამოვიდა რესპუბლიკის თორმეტი რაიონის 160-მდე სპორტსმენი.

გუნდები დაყოფილია ორ ქვეჯგუფად. პირველ, უძლიერეს ქვეჯგუფებში გამოდიან თბილისის, ბორჯომისა და მეხეთის რაიონების სპორტსმენები. მეორე ქვეჯგუფში ერთმანეთს ეჯიბრებიან ლენტეხის, ონის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, დუშეთისა და ცაგერის რაიონების, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის სპორტსმენები. სამწუხაროდ, ბაკურიანში არ ჩამოსულა ამ შეჯიბრების მეორე ქვეჯგუფის შარშანდელი განარჯვებული — ქუთაისის გუნდი.

პირველობის პროგრამაში შედის თბილისმურებით რბოლა ქალთათვის 5 და 10 კილომეტრ დისტანციებზე, ამანთრბენი 3X5 კილომეტრზე-ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებიან 15 და 30 კილომეტრ დისტანციაზე და 3X10 კილომეტრ ამანთრბენში. გარდა ამისა, გათამაშდება მედლები ჩრდილოეთის ორჭიდში, სლალომ-გიგანტსა და სპეციალურ სლალომში.

— წლევანდელი პირველობა, — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ო. გელაშვილმა, — განსაკუთრებულია. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადისადმი საქართველოს სპორტსმენთა მზადების პირველი ეტაპი. ამ სპარტაკიადის პროგრამას ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრება, როგორც ცნობილია, მოეწყობა ბაკურიანში. ეს შეჯიბრება დაგვეხმარება გამოვავლინოთ უძლიერესნი, რომლებიც რუსეთის ნაკრები გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ.

სამწუხაროდ, უამინდობის — თოვლ-ჭყაპის გამო . ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრება გადატანილია. ჩემპიონატი დამთავრდება 28 თებერვალს. (ᲚᲐᲙᲘᲜᲨᲝᲠᲘᲡᲗᲘ).

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲤᲐᲚᲝᲜᲘ. ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც გუშინ დაიწყო ტალინში, ესოდენ ძლიერი შემადგენლობა არასოდეს არ ჰყოლია. უკანასკნელ მომენტში მონაწილეობს დაემატა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სპასკი, რომლის თამაში ტალინში ადრე გათვალისწინებული არ ყოფილა. სინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს სპასკის პირველი ტურნირია მსოფლიოს პირველობაზე მატჩის შემდეგ. ბრძოლაში ჩაებნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი, გროსმაისტერები კერესი, პოლუგაევსკი, ბრონშტეინი და სხვები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. შეჯიბრება თბილისის თასზე ძალზე საინტერესო გამოდგა.

ქალთა ასპარეზობაზე კვლავ მიიპყრო ყურადღება ნინეიერმა გოგონამ, 12 წლის ოსტატობის კანდიდატმა მაია ჩიბურდანიძემ, იგი მართლაც ენერგიულად ატარებს თავის შეხვედრებს, იგებს ყველა პარტიას. ჩიბურდანიძე გავიდა შეჯიბრების ფინალში, სადაც მისი მეტოქეა მეორე ნორჩი მოჭადრაკე, 11 წლის ნინო გურიელი. გურიელის თამაში გონებამახვილობითა და ენერგიით ხასიათდება. ჩიბურდანიძე და გურიელი ორ პარტიას გაათამაშებენ.

ვაჟთა ტურნირში არაერთმა გამოცდილმა ოსტატობის კანდიდატმა იწვნია მარცხი. ბრძოლას აგრძელებენ მხოლოდ ოსტატობის კანდიდატი ჩიგოგიძე და თბილისის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ეფიმოვი.

Ა. ᲛᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ძმები ზნაშენებს სახელობის ზამთრის მანეულში გათამაშდა საბ